რუსული პროპაგანდა, როგორც კრემლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენის შესანარჩუნებლად

(მოლდოვა, საქართველო 2016-2020)

ნინო კეთილაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი (ასოცირებული პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო კეთილაძე

25/06/2021

აბსტრაქტი

პოლიტიკურ დღის წესრიგში პროპაგანდის გავლენა უფრო და უფრო იზრდება. ამ მხრივ აღსანიშნავია რუსეთის მიერ პოსტსაბჭოთა სივრცეზე განხორციელებული პროპაგანდული ნარატივის ფენომენი.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეისწავლოს რუსული პროპაგანდის ზეგავლენა - საქართველოსა და მოლდოვას მაგალითზე, თუ როგორ და რა საკითხებით ხდება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ხალხის პოლიტიკური აზრისა და ვექტორის მანიპულირება. კვლევა ასევე კონცენტრირებულია იმ ფაქტორებზე, თუ რა საერთო და განსხვავებული მახასიათებლებით გამოირჩევა აღნიშნული ქეისები.

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები (შემთხვევის შესწავლა და ქეისების შედარებითი ანალიზი). კვლევა შეისწავლის პროპაგანდის მთავარ სიმბოლოებსა და მოვლენებს, განიხილავს პრორუსული მედია-საშუალებების ნარატივს, აკადემიური კვლევის შედეგებსა და ექსპერტთა მოსაზრებებს.

კვლევის ფარგლებში დადასტურდა ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც, რუსეთის პროპაგანდული ნარატივი ძირითადად საზოგადოებისთვის სენსიტიური საკითხებით აპელირებს: ნარატივის წარმატებაში კი დიდ როლს საბჭოთა ნოსტალგია, ტრადიციული ღირებულებებით, რელიგიითა და ეროვნული იდენტობით მანიპულირება თამაშობს.

ჰიპოთეზა, რომ განსხვავებულ შედეგებზე გავლენას გეოპოლიტიკური განლაგება, პოლიტიკური ელიტის ცვალებადობა და დემოკრატიული ტრანზიციის გამოწვევები ახდენს, ნაწილობრივ დადასტურდა. კვლევის პროცესში გამოიკვეთა დამატებითი ფაქტორები, რომლებმაც არჩევნებში გადამწყვეტი როლი ითამაშა. მოლდოვას შემთხვევაში ეს იყო ევროპაში მცხოვრები დიასპორის ჩართულობა, საქართველოს ქეისში კი - შიდა დაპირისპირებისა და პოლარიზაციის ფაქტორები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პროპაგანდა, პოსტსაბჭოთა სივრცე, პოლიტიკური ვექტორი.

Abstract

The influence of propaganda on the political agenda is growing more and more. In this regard, the phenomenon of propaganda narrative carried out by Russia in the post-Soviet space is noteworthy.

The purpose of this paper is to examine the impact of Russian propaganda - on the example of Georgia and Moldova, how and with what issues the political opinion and vector of the people in the post-Soviet countries are manipulated. The research also focuses on the factors that distinguish these cases from the common and different characteristics.

The paper uses elements of qualitative research and the method of deduction. The study examines the main symbols and events of propaganda, examines the narrative of pro-Russian media, the results of existing research and expert opinions, on the basis of which it presents a comparative analysis and key findings.

The study confirmed the main hypothesis, according to which the Russian propaganda narrative mainly appeals to issues sensitive to the public: Soviet nostalgia, manipulation of traditional values, religion and national identity play a big role in the success of the narrative.

The hypothesis that different outcomes are influenced by geopolitical factor, the variability of the political elite, and different challenges of democratic transition has been partially proven. The research process revealed additional factors that played a crucial role in the elections. In the case of Moldova, it was the involvement of the diaspora living in Europe, and in the case of Georgia – these are the signs of internal confrontation and polarization.

Key Words: Propaganda, Post-Soviet Space, Political Vector

მადლობა

დიდი მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და პროგრამის ლექტორებს მიღებული ცოდნისა და გამოცდილებისათვის.

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს - ნინო ფავლენიშვილს საჭირო რჩევების, ფასდაუდებელი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო აკადემიური წერის ლექტორს, თათია რაზმაძეს გაწეული შრომის, კონსულტაციისა და ყურადღებისათვის.

მადლობა ყველა ექსპერტს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კვლევაში და წვლილი შეიტანა ნაშრომის სრულყოფაში.